ქალთა როლი პოლიტიკაში, თუ პოლიტიკა შესაძლებლობათა სარბიელი?

ქალის როლი პოლიტიკაში - ამ ფრაზის მიმართ არსებული შეხედულებების გასარკვევად ქუჩის გამოკითხვა გამოვიყენეთ.

კითხვაზე - როგორ გესახებათ ქალის როლი პოლიტიკაში, პირველივე რესპონდენტმა, 30-წლამდე ასაკის მამაკაცმა ცივად გვიპასუხა:

- პოლიტიკა პოლიტიკოსების საქმეა.
- პოლიტიკოსი ქალები?
- პოლიტიკით მაინც მამაკაცები უნდა იყვნენ დაკავებულნი.

გამოკითხული 7 რესპონდენტისგან, (მათ შორის 4 ქალი) ექვსის პასუხები შინაარსობრივად მსგავსი და პირველი რესპონდენტისგან განსხვავებული აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც პარტიებისთვის კვოტირების თემა ფინანსურ დაინტერესებად გადაიქცა, მიმდინარე არჩევნებში პარტიათა უმეტესობამ პარტიული სიის პირველ ათეულში მინიმუმ სამი ქალი კანდიდატი დასახელა. არიან მაჟორიტარებიც. მოვუსმინოთ რამდენიმე მათგანს.

ლალი სიჯინავა: *მაჟორიტარობის კანდიდატი, ცხემლისხიდის საჯარო სკოლის დირექტორი. წინა მოწვევის საკრებულოს დეპუტატი. „ქართული ოცნება-დემოკრატია საქართველო“.*

— არ ვიცი რა დავარქვა ჩემს პოლიტიკაში მოსვლას?- თვითდამკვიდრება ? - არა ...ეს უფრო იმ დიდი სიყვარულის დაფასებაა, რასაც 27 წელია ვგრძნობ ჩემი თანასოფლელებისაგან და საერთოდ..მათი კეთილგანწყობა და სიყვარული არ მომკლებია ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებშიც. ვცდილობ სიყვარულს სიყვარულითვე ვუპასუხო, ჩემთვის, როგორც ქალისთვის, მასწავლებლისთვის, კარგად იყო ცნობილი ყველა ის პრობლემა, რაც ჩვენს თემს -ცხემლისხიდსა და ბაღდადს აწუხებდა. ჩავთვალე ჩემი ცოდნა, ენერგია და უნარ-ჩვევები საკრებულოშიც გამომეყენებინა მათ დასახმარებლად.

—ქალის როლი პოლიტიკაში?

—ქალის ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში მნიშვნელოვანია, აუცილებელია იმის დანახვა, რომ გადაწყვეტილება ძალაზე კი არა, გონებრივ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, დროა ყველამ გააცნობიეროს, რომ ქალი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია და წარმატებისკენ სწრაფვა მისი უფლებაცაა. მას უნდა ჰქონდეს კარიერული წინსვლის საშუალება. ერთ-ერთი ჩემი ამოცანა საკრებულოში ესეც იქნება, ასევე საგანმანათლებლო კუთხით მუშაობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გვერდში დგომა, სოციალური პროექტები... ჩემი სოფლის პრობლემების მოგვარება.

მინდა ყველა ქალმა დაინახოს, როგორც მე, ასევე ყველა ქალს შეუძლია, მიუხედავად ოჯახური მოვალეობებით დატვირთული გრაფიკისა, იყოს ოჯახს გარეთაც აქტიური, საქმიანი, პოლიტიკოსი.

ნინო თავაძე, *მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფ. ნატანებიდან; „პატრიოტთა ალიანსი.“*

—ბუნებით ძალიან აქტიური და მებრძოლი ადამიანი ვარ. ვერ ვიტან უმოქმედობას, ვერც უსამართლობას ვეგუები. იქედან გამომდინარე, რომ ვარ მასწავლებელი და 23 წელია ვმუშაობ ზემო ნატანების საჯარო სკოლაში, ყოველდღიურად მიწევს ურთიერთობა ბავშვებთან, მათ მშობლებთან. ისინი მესაუბრებიან, მიზიარებენ თავიანთ წუხილს არსებულ ყოფით პრობლემებთან დაკავშირებით, აქვთ იმედი, რომ დავეხმარები პრობლემების მოგვარებაში, მიუხედავად იმისა, რომ მე შესაბამისი ბერკეტი არ გამჩნია...

— პოლიტიკაში მოსვლა თქვენი შესაძლებლობების უკეთ რეალიზების შესაძლებლობაა?

— სწორედ ამან გადამწყვეტინა, მივსულიყავი პოლიტიკაში. ეს, ერთგვარი გამოწვევაა საკუთარ თავთან, ვფიქრობ, რომ მაქვს ყველა ის თვისება, რაც სჭირდება პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანს...

მიუხედავად იმისა, რომ ქალები ცნობილია, როგორც ე.წ. „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები, და თუ ვაღიარებთ, რომ სახელმწიფოც ერთგვარი „პატარა ოჯახია“და ოჯახი ძლიერია, სადაც ქალიც ძლიერია. ამიტომ, ვთვლი რომ სწორედ რომ საჭიროა მეტი ქალი იყოს პოლიტიკაში.

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 38 (10232) 2 ოქტომბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით გურიის გუბერნატორმა **მერაბ ჭანუყვაძემ,** გუბერნატორის მოადგილეებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა **არჩილ ყაზაიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით დარჩიამ** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა.

საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა 20 ოზურგეთელი სამხედრო მოსამსახურე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოფელ ლიხაურში მამუკა ცეცხლაძისა და გოჩა სალუქვაძის საფლავებზე იმყოფებოდნენ.

—„დღეს გავიხსნეთ გმირები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მთლიანობას ემსხვერპლნენ. მათ ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე შესწირეს საქართველოს, ჩვენს საერთო მომავალს. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ომში დაღუპულთა ოჯახებს,“ - განაცხადა **არჩილ ყაზაიშვილმა.**

დაღუპული მეომრების ოჯახებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მერიამ ფულადი თანხა გადაურიცხა.

საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისთვის დაღუპულ მეომართა მემორიალთან ქ. ოზურგეთის მერი **ბეგი სიორიძე** მივიდა. იგი ომის ვეტერანებს შეხვდა.

დავით დარჩია: „—ჩვენ სხდომაზე არავინ არ გაგვირიცხავს. ჩვენ მხოლოდ რეკომენდაცია მივეცით პარტიის ცენტრალური ორგანიზაციის სამდივნოს“

კონსტანტინე შარაშენიძე: „მე ყოველთვის ვუსვამდი ხაზს რომ გახლავართ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატი“

26 სექტემბერს, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის საოლქო ორგანიზაციის ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომას უძღვებოდა პარტიის თავმჯდომარე დავით დარჩია. ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ღურჯუმელიძე, კობა დუნდუა, დავით ჭაკნელიძე. არ ესწრებოდა —სოსო ერქომაიშვილი.



სხდომაზე განიხილეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრის კონსტანტინე შარაშენიძის მიერ პარტიის წესდების დარღვევის ფაქტები, მიიღეს გადაწყვეტილება და პარტიის სამდივნოს გაუგზავნეს რეკომენდაცია პარტიული, დისციპლინარული სახდელის შესახებ.

მსგავსი რეკომენდაციები გაეგზავნა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სამდივნოს პარტიის წევრების ტიტე ბაქანიძის, ამირან ბაქანიძის, გრიგოლ კოსტავას, ალექსანდრე ცეცხლაძისა და ალექსანდრე ბურძგლას მიმართ.

გარიცხვის მიზეზად ოქმში პარტიის მესამე მუხლია მითითებული: — ამ მუხლის თანახმად, პარტიის წევრმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს საქმიანობაში და არ გააკეთოს განცხადება, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკურ კურს, პოზიციას, მიზანს და ამოცანებს.

—ბატონ დავითს ეს ბიუროს სხდომა ბოლოს ეტაპზე ეგონა, ალბათ, ეგონა, ეს ბიუროს სხდომა ეს ... ეს ... ეს ...

დავით დარჩია: „–ჩვენ სხდომაზე არავინ არ გაგვირიცხავს. ჩვენ მხოლოდ რეკომენდაცია მივეცით პარტიის ცენტრალური ორგანიზაციის სამდივნოს“

კონსტანტინე შარაშენიძე: „მე ყოველთვის ვუსვამდი ხაზს რომ გახლავართ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატი“

გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართა.

–„როდესაც მივიღე გადაწყვეტილება დავრეგისტრირებულიყავი მერობის დამოუკიდებელ კანდიდატად, მე იმედი მქონდა, მხოლოდ პირადად ჩემი რესურსის, ჩემი მხარდამჭერების და ოზურგეთის ამომრჩეველის.

მე ვერ და არ დავეყრდნობი პარტიულ რესურს. მე ყოველთვის ვუსვამდი ხაზს რომ გახლავართ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატი. ეს ძალიან კარგად იცის ოზურგეთის ამომრჩეველმა, არასდროს არც ერთ არც საჯაარო და არც პირად შეხვედრაზე არ მითქვამს რომ ვარ პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატი. ნურავინ თვლის, რომ შესაძლებელია ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა და მოტყუება.

რა თქმა უნდა, საწყენია პარტია „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება, რადგან უმნიშვნელოვანესი წვლილი მაქვს შეტანილი ოზურგეთში პარტიის დაფუძნებასა და 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებაში. ეს იცის ყველამ და მაქვს უფლება ეს გავიხსენო, ამას ვერავინ წამართმევს. პარტიიდან გარიცხვა არ არის ჩემთვის გადამწყვეტი, მე არ ვიყენებ პარტიულ რესურს, ამომრჩეველთან ურთიერთობისთვის და მათზე ზრუნვისათვის. ამაზე იმათმა იდარდონ, რომელთაც პარტიული მხარდაჭერის და რესურსის გარდა არაფერი დარჩათ, არც პიროვნული და არც ხალხის მხარდაჭერა.

გამარჯვების შემთხვევაში, გაცნობიერებული მაქვს რომ უნდა ვითანამშრომლო ხელისუფლებასთან ოზურგეთის საკეთილდღეოდ. ორიენტირებული ვიქნები ოზურგეთის მოსახლეობაზე და პასუხისმგებელი. მწამს ოზურგეთელები ყველაფერს სწორად შეაფასებენ და მიიღებენ სამართლიან გადაწყვეტილებას 21 ოქტომბერს.“

შარაშენიძემ პასუხი გასცა ჟურნალიტების შეკითხვებს.

„– მე ვაპირებ არჩევნებში მონაწილეობას და ბრძოლას შედეგებისთვის!“–აღნიშნა მან.

„ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისავან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოჩშაბათი ალიონზე
«ალიონით»

როგორ განვითარდება სტატუს ჩამორთმეული ქალაქები არჩევნების შემდეგ

ალიონი. როგორ განვითარდება სტატუსჩამორთმეული 7 ქალაქი, მათ შორის ოზურგეთი, არჩევნების შემდეგ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ოზურგეთში თვითმმართველობის გაუქმებას? - ამ და სხვა საკითხებზე ისაუბრეს ექსპერტებმა ირაკლი მელაშვილმა და ლადო სანიკიძემ 25 სექტემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, პროექტ „თვითმმართველობების შენარჩუნებისა და გაძლიერების ხელშეწყობის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრა-დისკუსიაში, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტ „თვითმმართველობების შენარჩუნებისა და გაძლიერების ხელშეწყობა“ მიზანია მოსახლეობისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება თვითმმართველობაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ - რას და რატომ უპირებს თვითმმართველ ქალაქებს ხელისუფლება; ამის შესახებ თვითმმართველობის წარმომადგენელთა, არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივთა აზრის მოსმენა,ანალიზი; პრობლემიდან გამოსავლის მოძებნა და მოსახლეობის პოზიციასთან ერთად მისი ხელისუფლებამდე მიტანა.

შესაბამისი არგუმენტების მოტანით, ითქვა, რომ თვითმმართველი ქალაქებისათვის სტატუსის ჩამორთმევა და მათი შერწყმა მუნიციპალიტეტებთან იყო უკან გადადგმული დიდი ნაბიჯი როგორც თვითმმართველობის, ისე დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით.

პროექტს „თვითმმართველობების შენარჩუნებისა და გაძლიერების ხელშეწყობა“ ახორციელებს ადამიანის უფლებათა და სოციალური სამართლიანობის დაცვის ცენტრი, ინტერნეტ გამოცემა **TSpress.ge**-სთან ერთად, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო“ მხარდაჭერით.

ოზურგეთის თეატრი კიევში გაემგზავრა

30 სექტემბრიდან – 5 ოქტომბრამდე უკრაინაში, კიევში იმართება მარიონეტებისა და მონო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალს კიევის აკადემიური მარიონეტების თეატრი „კოშკი ბორცვზე“ მართავს და უძღვნის თეატრის დაარსებიდან 90 წლისთავს.

ფესტივალზე მსოფლიოს 20 ქვეყნის თეატრები მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის, ოზურგეთის თეატრი ვაჟა-ფშველას მოთხრობების მოტივებზე ბელა კიკვაძის მონოსპექტაკლით „ნეტავი დამბადებელო“, რეჟისორი ვასო ჩიგოგიძე. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს გუნდს და „პატარა შვლის ნუკრს“.

მადლობა

მადლობა ოზურგეთის იუსტიციის სახლის თანამშრომელს –ნინო გობრონიძეს საჯაროდ ვუცხადებ მადლობას ჩემს მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღებისთვის.

იამზე თოიძე,
სოფ. ლიხაური

„იპოვე თქვენი თავი, იპოვე თქვენი უბანი“

ალიონი. ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომიიის წევრებმა ქ. ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ გამართეს აქცია „იპოვე თქვენი თავი, იპოვე თქვენი უბანი.“

აქციის ფარგლებში საოლქო კომისიის წევრები დაინტერსებულ მოქალაქეებს აძლევდნენ ინფორმაციას, იმყოფებიან თუ არა საარჩევნო უბნებში.

– აქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ელექტრონულად ვამოწმებთ ინფორმაციას არიან თუ არა მოქალაქეები საარჩევნო სიებში. ამომრჩევლებს ასევე შეუძლიათ აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმონ ცეესკოს ვებგვერდზე და ფულის გადახდის აპარატებზე – გვითხრა №60 საოლქო-საარჩევნო კომიიის თავმჯდომარე **ზვიად თენიეშვილმა.**

აქციის შესახებ დაინტერესდნენ ოზურგეთში მყოფი I დამკვირვებლები **როჯერ ბრაინტი** და **მაია გრაჰამი.**

–ჩვენ ნეიტრალური დამკვირვებლები ვართ და წინასაარჩევნო პროცესს ვაკვირდებით –გვითხრეს მათ.

აფხაზეთის ომის ვეტერანები იგონებენ

ალიონი. 1993 წლის 27 სექტემბერს რუსეთის „შუამდგომლობით“ განიარაღებული ქართული ჯარი დამარცხდა –სოხუმი დაეცა.

ამ დღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლები ქ. ოზურგეთში, საკათედრო ტაძრის ბაღში ობელისკთან იკრიბებიან. ისინი იგონებენ ომის მძიმე დღეებს, დაღუპულ მეგობრებს. ჩვენ რამდენიმეს გავესაუბრეთ:

სლავა არაშიძე, პედაგოგი: –მე და თენგიზ ჩხარტიშვილი ავღანეთში ვებრძოდით. იქ ჩვენი ნებით არ წავსულვართ. აფხაზეთში კი ბიჭები საკუთარი ნებით მიდიოდნენ. ეს დღე არის დიდი გულისტკივილის დღე. საქართველო არ იყო ღირსი ასე დაეკარგა თავისი შვილები ამ წინასწარ წაგებისთვის დაგეგმილ ომში.

ემზარ ტრაპაიძე, დროებით უმუშევარი: –18 წლის ვიყავი, ომის დაწყების მომდევნო კვირას მოხალისედ რომ წავედი აფხაზეთის ომში. მე „მხედრიონის“რიგებში ვიბრძოდი ოზურგეთელ შოთა დობორჯგინიძესთან ერთად.: ოჩამჩირე, ტამიში, მერკური, კოჩარა (ცაგერა), სად არ ვიბრძოდი. ძან მძიმე პერიოდი იყო. ეს იყო უაზრო და გაუმართლებელი ომი...

თემურ გოგუაძე – ჩვენს ბიჭებს თავი არც ერთ ბრძოლაში არ შეურცხვენიათ. მხოლოდ ქეთევანასთან ბრძოლაში დავიხიეთ უკან მტრის ჭარბ ძალებთან. მოწინააღმდეგემ ბიჭები ტყვედ აიყვანეს. დათო რამიშვილი დახვრიტეს, ხოლო პაპუნა სალუქვაძე 45 დღე ჰყავდათ გუდაუთის ტყეთა ბანაკში. წითელმა ჯვარმა დაიხსნა ტყეობიდან.

რომელი ერთი ჩამოვთვალო. შეუპოვარი იყო ბრძოლებსი ლიხაურელი ალიკა გობრონიძე. ჩემთან იბრძოდნენ ავთო ჩავლეიშვილი, მურთაზ აბაშიძე, ვოვა ბურაკოვი....ახლა ვიკრიბებით და ერთმანეთს ომის ტკივილს ვუზიარებთ. მჯერა საქართველო დროებით დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს –გვითხრა მან.

ქალთა როლი პოლიტიკაში, თუ პოლიტიკა შესაძლებლობათა სარბიელი?

ლელა საჯაია: *პედაგოგი, მაჟორიტარობის კანდიდატი, წინა მოწვევის საკრებულოს წევრი, „ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“:*

–გენდერული ბალანსის დაცვა დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში კვლავ რთულია?

–რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური უფლებების გაუმჯობესებას, მაინც დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი, ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის იდენტური ანაზღაურება, ლიდერობასთან დაკავშირებული თანაბარი კონკურენციის დონე და ა.შ. ის მიზეზებია, რაც ხელს უშლის ქართველ ქალებს ერთმანეთთან შეათავსონ სამუშაო და ოჯახი. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ქართულპოლიტიკურ ასპარეზზე ძალიან მალე დადგება დრო, როცა ადამიანები არასქესობრივი მახასიათებლების, არამედ პიროვნული და ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით იქნებიან რეალიზებულნი.

მარიკა ჩხიკვიშვილი. *იურისტი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“:*

–პოლიტიკაში მოსვლა თქვენთვის თვითდამკვიდრების შესაძლებლობაა?

–პოლიტიკა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. თუმცა არის ახალი გამოწვევა და შესაძლებლობა, ვაკეთო ის საქმე, რომელიც მიყვარს. ეს არის მუშაობა ახალ პროექტებზე ადამინთა უფლებების დაცვის მიმართულებით და გენდერულ საკითხებზე.

–თქვენი აზრით, როგორია გენდერული ბალანსი დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში?

– ამ მიმართულებით პოლიტიკურმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ქმედითი ნაბიჯები გადადგა. დღეს, ადგილობრივ დონეზე თქვენ ხედავთ ჩვენს პარტიულ სიას მაქსიმალურად გენდერულად დაბალანსებულს. ეს არის ახალი პოლიტიკური კულტურა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ამკვიდრებს.

–თემები, რაზედაც თქვენ აპირებთ მუშაობას თვითმმართველობაში მოსვლის შემდეგ;

–თვითმმართველობა თავისი არსით უზრუნველყოფს ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობას, რაც გულისხმობს მათი მეშვეობით ადგილობრივი მნიშნელობის საკითხების მოწესრიგებას. პრობლემები სხვდასხვაგვარია, მე შევეცდები ჩემს კოლეგებთან ერთად სწორად განვსაზღვრო პრიორიტეტები და თანმიმდევრულად მოვახდინო რეაგირება მათზე. წინასწარ შემიძლია ერთი რამ დარწმუნებით ვთქვა, ჩემის მხრიდან მაქსიმალური ყურადღება დაეთმობა განათლებას, სოციალურ საკითხებს.–ჩვენს მუნიციპალიტეტში საკმაოდ მოტივირებული ახალგაზრდებია. საჭიროა მათი გააქტიურება. სწორედ მათი პრობლემების, იდეების, ინიციატივების დაყენებას ვაპირებთ როგორც წარმომადგენლობით, ისე აღმასრულებელი ხელისუფების დონეზე.

– შეაფასეთ ქალის როლი პოლიტიკაში; სუსტი და ძლიერი მხარეები;

–ქალის როლი პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესია, მითუმეტეს მაშინ, როცა ქალის როლი თანამედროვე საზოგადოებაში დღითიდღე იზრდება. ქალის აქტიური მონაწილეობა პოლიტიკაში ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

ხათუნა ცერცვაძე, *ბავშვთა დღის ცენტრის „მზის სხივი“ ხელმძღვანელი. ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.*

– თქვენი პოლიტიკური შესაძლებლობები:

– ვფიქრობ, შეგნებული ასაკიდან, ადამიანი საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას ცდილობს. მრავალწლიანი საზოგადოებრივი საქმიანობის კვალდაკვალ, ამგვარი შეგრძნება თავისთავად ჩნდება. როცა რწმუნდები, რომ შენ შეგიძლია. როცა ზუსტად იცი რას, და როგორ გააკეთებ. გამოკვეთილია შენი მიზნები, შედარებით ადვილდება ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება. ვფიქრობ, პოლიტიკაში მხოლოდ მაშინ უნდა მოხვიდე, როცა დარწმუნებული ხარ საკუთარ შესაძლებლობებში. როცა უკვე იცი, რომ შენი საქმიანობით, საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილს სჭირდები და შემდგომი საქმიანობით კიდევ უფრო მეტს შესძლებ.

– გენდერული ბალანსი და ქალის როლი პოლიტიკაში?

– ეს, ის თემებია, რომელთა გარშემო კამათი და აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არ წყდება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპთა მსხვრევა ძნელია. თუმცა საქართველოს ისტორიაში იყო პრეცენდენტები, როცა ქალი მართავდა სახელმწიფოს, ამისდა მიუხედავად ხშირად ქალი პოლიტიკოსი არასერიოზულად აღიქმება. ვეცდები, ჩემი საქმიანობით, საზოგადოებას ვაჩვენო ქალების სულიერი ძალა, მათი მაღალი ეთიკური ნორმები, პრობლემების გადაჭრის დიპლომატიური გზების გამონახვის შესაძლებლობა. ჩემი ზრუნვის არეალი დღემდე სოციალურად სეჭირვებული სეგმენტის საჭიროებების გამოკვეთა და მდგომარეობის შემსუბუქება იყო და ასევე იქნება მომავალშიც.

ქეთი ვასაძე, *პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.*

–პოლიტიკით დაინტერესების თქვენეული ახსნა?

– ადამიანი თავისი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე აღმოჩნდება იქ, სადაც თავს უფრო საჭიროდ თვლის .ოთხი წლის განმავლობაში ბევრ საინტერესო და პროფესიონალ ადამიანთან მომიწია მუშაობა, ძალიან ბევრი ვისწავლე მათგან, ახლაც ვსწავლობ. ამ ყველაფერმა კი დიდი სტიმული მომცა მეტი გავაკეთო ჩემი ქალაქისთვის, წინ სერიოზული გეგმები მაქვს და აუცილებლად განვახორციელებ.

–თვლით თუ არა, რომ გენდერული ბალანსის დაცვა დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში კვლავ რთულია?

–თუ გადავხედავთ გასულ წლებს, პროგრესი აშკარად შეინიშნება, რთული არ არის, უბრალოდ მეტი ძალისხმევაა საჭირო.ხელი უნდა შევუწყოთ ქალთა ორგანიზაციების განვითარებას, წავახალისოთ მათი ჩართულობა არა მხოლოდ პარტიულ საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხორებაში.

– ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები ხართ, რა იდეებით მოდიხართ ამ მიმართებით.

–მე, როგორც ჩემი გუნდის ნდობით აღჭურვილი პირი, საკრებულოში ვიქნები ახალგაზრდების ინიციატივების, მათი პროექტების აქტიური მხარდამჭერი. იდეები ბევრია, მთავარია ჩვენ შევძოთ და სწორად მივიტანოთ წარმომადგენლობით ორგანომდე, მათგან მივიღოთ მხარდაჭერა და მოვახერხოთ მათი განხორციელება. ჩვენს პარტიას აქვს სერიოზული პროგრამა უმუშევრობის დაძლევის თაობაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებასა და ხელშეწყობაზე. ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერების პროცესებზე.

–შეაფასეთ ქალის როლი პოლიტიკაში; სუსტი და ძლიერი მხარეები;

–ჩემი სუბიექტურია აზრია, რომ პოლიტიკაში ქალის ჩართულობა უფრო

მეტად აბალანსებს და მოქნილს ხდის მას. ვთვლი რომ ამ პროცესს სუსტი მხარე არ აქვს. ქალური ინტუიცია და დიპლომატიის ნიჭი პოლიტიკას ცალსახად ძლიერს და უფრო საინტერესოს ხდის.

მაია ქოჩიშვილი, *მაჟორიტარობის კანდიდატი სოფ. შემოქმედში, „ევროპული საქართველო“.*

–მეტი ქალი პოლიტიკაში – ეს თემა ქართულ რეალობაში დიდი ხანია აქტუალურია. ქალები ამომრჩეველთა 50%-ზე მეტს წარმოადგენენ, ხოლო მათი რაოდენობა წარმომადგენლობით ორგანოში (პარლამენტი, საკრებულო) 10-12%-ია. ეს რა თქმა უნდა სავალალოა. სხვადასხვა პრაქტიკით მყარდება მოსაზრება, რომ ქალები მეტად მგრძნობიარენი არიან და მეტი ყურადღებით ეკიდებიან სოციალურ საკითხებს. მაგალითად სკოლამდელი აღზრდა მხოლოდ ქალისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი. თამარ მეფისა და კრავი ვაყელის ქვეყანაში იმის მტკიცება, რომ ქალები უნდა იყვნენ პოლიტიკაში, არ უნდა გვჭირდებოდეს. ამიტომ, მე ვფიქრობ, აუცილებლად უნდა დავუჭიროთ მხარი ქალ კანდიდატებს. პარტიული კუთვნილება არ გამორიცხავს თანამშრომლობას და საქმის ერთად კეთებას, რაც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას. წარმატებები ქალ კანდიდატებს.

ლალი შენგელია, *კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“*

– „განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიურობაზე, თანასწორობაზე. არაერთი განვითარებული ქვეყნის მაგალითით, თანასწორობა გაიგივებულია სოციალურ სამართლიანობასთან და ეს არის გზა პროგრესისკენ. ვაჟა-ფშაველა წერდა: „დღეს, *რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამ-*

წვავებული და გამწარებული ცხოვრება მალამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ველირსებოდით.“.

ასეთივე სიტყვების გამეორება შეიძლება დღესაც...

რას მოგვცემს მეტი ქალი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში? თანასწორობას, მეტ საზოგადოებრივ სიკეთეს, უკეთეს სოც-იალურ მხარდაჭერას, ნაკლებ ძალადობას, ჰარმონიულ ურთიერთობებს, სამშვიდობო ინიციატივებს, სიმშვიდეს და კეთილდღეობას ოჯახებში“.

პარტიულ სიებში წარმოდნენილ თუ მაჟორიტარ კანდიდატთა შერკინებამ საარჩევნო ფორმატში გადაინაცვლა. ბრძოლა წესებით და უპირატესობის გარეშე. ქალი კანდიდატები კონკურენტ ქალთა, მამაკაცთა და ჯერ კიდევ არსებულ სტერეოტიპთა წინააღმდეგ. ვინ შესძლებს ამომრჩეველთა გულის მოგებას. რომლები დარჩებიან საფინიშო რინგის გამარჯვებულნი, 21 ოქტომბერს გაირკვევა. მთავარია ქალ კანდიდატთა რაოდენობა გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

გიორგი ასათიანი

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ანტიდასავლური დეზინფორმაცია და არჩევნები

ალიონი. 27 სექტემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის საარჩევნო მედიაცენტრში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „ანტიდასავლური დეზინფორმაცია და არჩევნები“.

საინფორმაციო შეხვედრას უძღვებოდა „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეთა ჩართულობის პროექტის“ (**ACCESS**) საკარო პოლიტიკის მრჩეველი მრჩეველი **ნოდარ ტანგიაშვილი.**

როგორც შეხვედრაზე ითქვა, „საინფორმაციო ომის“ პროპაგანდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა და იგი საქართველოშიც შეინიშნება. პროპაგანდის მთავარი სამიზნე ქვეყნები და ინსტიტუტები აქტიურად მუშაობენ დეზინფორმაციასთან ბრძოლის სტრატეგიებზე, რათა გარეშე ძალებს არ მიეცეთ საშუალება, გავლენა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე.

დეზინფორმაციული კამპანიის საფრთხე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ცალკეული პოლიტიკური პარტიებისა და მედიასაშუალებებისათვის.

ტანგიაშვილმა ანტიდასავლური პროპაგანდის გამავრცელებელი ქვეყნები და მედიასაშუალებებიც დასახელა, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურდებიან დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნების მიმდინარეობისას და ზოგჯერ გარკვეულ გავლენასაც ახდენენ არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

შეხვედრის მიზანი იყო ამომრჩევლის ინფორმირება „საინფორმაციო ომის“ შესახებ არჩევნებთან და მის შედეგებთან მიმართებაში, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ამომრჩევლებს, მიიღონ ფაქტებზე და არა ემოციებზე დამოკიდებული გადაწყვეტილება, საფრთხის წინაშე არ დაყენონ ქართული დემოკრატია და მისი ღირებულებები.

შეხვედრას ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ჟურნალისტები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის თემის ახალგაზრდები და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) გრძელვადიანი დამკვირვებლები საქართველოში.

თამაზ ტრაპაიძის თვალით დანახული წინასაარჩევნო პერიოდის განვლილი ეტაპი და მანამდე თვითმმართველობაში უკან გადადგმული ნაბიჯი

თემურ მარშანიშვილი

თუ მეხსიერება არ გვლალატობს, ოზურგეთში გასული საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ოზურგეთში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო აქტიურები იყვნენ, ვიდრე ახლა, თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში არიან. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ოზურგეთში არჩევნებს ოცდაათზე მეტი არასამთავრობოდან მხოლოდ რამდენიმე თუ აკვირდება, მათ შორის ყველაზე მეტად აქტიურობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ოზურგეთის წარმომადგენლობა. „ალიონის“ კითხვებს დღეს სწორედ საიას ოზურგეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თამაზ ტრაპაიძე პასუხობს.

— ბატონო თამაზ, თქვენ როგორ ფიქრობთ, წინასაარჩევნო პერიოდის ამ ეტაპზე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო არ უნდა აქტიურობდნენ? შეუიარაღებელი თვალით ჰორიზონტს აქეთ მხოლოდ საია ჩანს.

— ალბათ, სხვები ჯერჯერობით არ არიან დარეგისტრირებული. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ არჩევნებს დააკვირდებიან სხვა ორგანიზაციებიც უშუალოდ კენჭისყრის დღეს და შესაძლოა წინასაარჩევნო პერიოდშიც, ერთის თქმა შემიძლია დანამდვილებით, რომ საია აკვირდება წინაასაარჩევნო პერიოდს, მონიტორინგს გაუწევს კენჭისყრას და შემდგომ პროცესებსაც.

— როგორ შეაფასებდთ წინასაარჩევნო პერიოდს ამ ეტაპზე, რა სახის დარღვევებია, რა კონკრეტული მაგალითები გაქვთ?

— ზოგადად, წინასაარჩევნო პერიოდი ქვეყანაში დაძაბულია, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, იგი გურიაში გარკვეულ ჩარჩოებში არის მოქცეული. ჩვენი აზრით, არის რაღაც დარღვევები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც შესწავლისა და დაკონკრეტების პროცესშია, თუ ზუსტად რასთან გვაქვს საქმე. არის ცნობები, შემოდის არაერთი ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, მაგრამ ყველა ინფორმაციას არ ახლავს შესაბამისი მტკიცებულებები და ჩვენც ზოგიერთ შემთხვევაში ვერ მოვიკვლევთ ხოლმე, ამ სახის ინფორმაციას მხოლოდ ინფორმაციის დონეზე ვტოვებთ. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვერც საჩივარს დავწერთ და ვერც ადმინისტრაციულ დარღვევაზე ვისაუბრებთ. ვიმოქმედებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი მტკიცებულებები გვექნება.

— თქვენი გადასახედიდან როგორია ამ არჩევნებში მოქალაქეთა ჩართულობა?

— რა გითხრათ? კარგია თუ მოქალაქეები მიმართავენ საოლქო საარჩევნო კომისიას, საუბნო კომისიას და შესაბამისად გადაამოწმებენ, არიან თუ არ ამომრჩეველთა სიებში და თუ არ არიან, მიმართავენ კომისიას განცხადებით. ამის შესახებ საოლქოს ექნება გარკვეული სტატისტიკა. რაც შეეხება არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისა და მათი მხარდამჭერის ჩართულობას, ისე გააქტიურებულები არიან, მეტი რომ არ შეიძლება.

— ოპოზიცია უკვე ხმამაღლა ლაპარაკობს ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული რესურსების გამოყენებაზე. ხომ არ ფლობთ შესაბამის კონკრეტულ ინფორმაციას?

— ამ კითხვას უკვე ნაწილობრივ გავეცი პასუხი. შემოსულ ინფორმაციებზე, რომელსაც თან ახლდა გარკვეული მტკიცებულებები, მოვახდინეთ რეაგირება და უკვე მივმართეთ შესაბამის ორგანოებს,

— და ასეთი ინფორმაციები მხოლოდ ოზურგეთიდან შემოდის?

— არა, ჩოხატაურიდანაც, სადაც ასევე ვაკვირდებით არჩევნებს. ერთი საკითხი გასაჩივრებული გვაქვს ჩოხატაურის საოლქო კომისიაში და ველოდებით პასუხს. აქვე ვმუშაობთ კიდევ ერთ საკითხზე.

— კონკრეტულად რა სახისაა ჩოხატაურში ეს დარღვევა?

— ადმინისტრაციული რესურსის, კონკრეტულად ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. ამ საკითხზე უკვე მტკიცებულებები გვაქვს და შესაბამისი მოწმეც გვყავს.

— მგონი, ოზურგეთშიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტია?

— კი, ბატონო, ადმინისტაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენებაა, შესაძლოა, მოსყიდვასთანაც გვქონდეს საქმე. არ ვიცი ჯერჯერობით რაზე გავალთ, კვლავ მტკიცებულებების პროცესში ვართ.

— უკვე ჩავლილი თემაა, მაგრამ მკითხველისათვის, იგივე ამომრჩევლისათვის საინტერესოა თქვენი ორგანიზაციის პოზიცია თვითმმართველი ქალაქების სტატუსის გაუქმებისა და გაერთიანებულ მუნიციპალიტეტებად წარმოდგენის შესახებ.

— ეს პოზიცია მკვეთრად გვაქვს დაფიქსირებული, ჩვენ ვემიჯნებით ამას. თვითმმართველი ერთეულების გაუქმება და შერწყმა, ქალაქების, როგორც თვითმმართველი ერთეულების, გაუქმება და შერწყმა და იგივე სტატუსკვოს დაბრუნება, რაც ჰქონდათ მანამდე, ანუ 2014 წლამდე,— ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი! დავუბრუნდით ამას და განვიცადეთ რეგრესი. ჩვენი მოლოდინი კი იყო, რომ მოხდებოდა პირიქით, გაგრძელდებოდა რეფორმა, მიიღებდა იგი უფრო რეალურ სახეს. თვითმმართველობებს გადაეცემოდა ქონება, მოხდებოდა საგადასახადო კოდექსში გარკვეული ცვლილება, მივიღებდით რეალურ დეცენტრალიზაციას და თვითმმართველობების დამოუკიდებლობას. ამავე დროს, სასურველი იყო კიდევ უფრო პატარა თვითმმართველობები გვყოლოდა. ეს იქნებოდა გაცილებით ეფექტური, რა თქმა უნდა, ამომრჩევლისა და, პირველ რიგში. მოსახლეობისათვის. მართვაც უფრო მარტივია ამ შემთქვევაში. შემდეგ შესაბამის კანონმდებლობაშიც შევიდოდა ცვლილებები, თვითმმართველობებს ექნებოდა საკუთარი მზარდი შემოსავლები და რეალური დამოუკიდებლობა. სამწუხაროდა, რომ წინ კი არა, უკან გადაიდგა ნაბიჯი, ამიტომაც ვართ უარყოფითად განწყობილი ამ საკითხისადმი.

— ხომ არ ფლობთ ინფორმაციებს პოლიტიკური პარტიებისათვის შეწირულობების, ბიზნესთან პოლიტიკური პარტიათა კავშირების შესახებ?

— შემოწირულობები, ფულადი თუ სხვა სახისა, რა თქმა უნდა, კანონით არის დაშვებული, ოღონდ, დეკლარირებული უნდა იყოს ეს ყველაფერი. თუ კითხვის არსი ისეთ შემოწირულობებშია, რომელიც არ ჩანს და არ არის ასახული, ეს უკვე სერიოზული კანონდარღვევაა. ამ წუთში ასეთ ინფორმაციას არ ვფლობთ. თუ იქნება, რა თქმა უნდა, გვექნება შესაბამისი რეაგირება.

კონფერენციიდან კონფერენციამდე

ალიონი. 23 სექტემბერს ჩატარდა გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის მე-2 კონფერენცია დევიზით „ძმობა, ერთობა, მეგობრობა, და ურთიერთგვერდში დგომა“.

კონფერენციაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო გამგეობის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და გამგეობის შემადგენლობის, ასევე საქართველოს პენსიონერთა კავშირის მე-5 ყრილობის დელეგატების არჩევა.

კონფერენციას ესწრებოდა 50 დელეგატი და 25 მოწვეული პირი. ყველა დელეგატს დაურიგდა პაკეტებში მოთავსებული სრული ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარემ **გურამ ცერცვაძემ** თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემებზე, რომლებიც დედამიწამ გადაიტანა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, აქვე დაასახელა, ნასასა და ამერიკელ მკვლევათა მონაცემებით, მომავალი 3 წლის განმავლობაში დასაძლევი პრობლემებიც.

შემდეგ მომხსენებელმა გარკვეული მინიშნება გააკეთა ორ დიდ პროექტზე — მიწავაშლასა და მექსიკური კიტრის (ჩაიოტა) მოყვანაზე საკარმიდამო ნაკვეთებში, მათი სასურსათო კალათის შესავსებად.

ისაუბრა იმ დიდ დახმარებაზე, რომელიც პენსიონერებსა და მათ ოჯახებს გაუწია მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ, რომელიც ცოტა ხნის წინათ გურიის გუბერნატორად დაინიშნა. მადლობა გადაუხადა ბატონ მერაბს და წარმატებები უსურვა ახალ საპასუხისმგებლო პოსტზე.

მუნიციპალიტეტი დაეხმარა პენსიონერებსა და მათ ოჯახებს 2014 წელს — 704 000, 2015 წელს — 457 000, 2016 წელს — 539 000 და 2017 წელს 457 000 ლარით.

გურიაში აპრილის თვეში მომხდარი კატაკლიზმების (ძლიერი ქარიშხალი) დროს დიდი დახმარება გაეწია სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, 1688 ოჯახს სოფლად გადაუხურეს სახლები.

ამავე პერიოდში ასევე დიდი მუშაობა გასწია ქალაქ ოზურგეთის მერიამ, კერძოდ, გადახურა 140 სახლი და 205 ოჯახს გადასცა სახურავის სრული კომპლექტი. გადაიხურა 7 მრავალსართულიანი ბინა. პენსიონერებსა და მათ ოჯახებს 4 წლის მანძილზე გაეწია 2 მილიონ 6 ათასი ლარის დახმარება. ყოველივე ამისათვის მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს ბეგი სიორიძეს, რომელიც ამჟამადაც იყრის კენჭს ამ თანამდებობაზე.

კონფერენციაზე დასახელდა და დამტკიცდა გურიის პენსიონერთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის 9-კაციანი შემადგენლობა, რომლებმაც თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გურამ ცერცვაძე.

არჩეულ იქნა საქართველოს პენსიონერთა კავშირის V ყრილობის დელეგატები 13 კაცის შემადგენლობით, ოზურგეთიდან — 8, ლანჩხუთიდან — 3 და ჩოხატაურიდან — 2. ორგანიზაციის მუშაობა შეფასდა დადებითად.

რეზოლუციის წაკითხვის შემდეგ კონფერენცია დახურულად გამოცხადდა. კონფერენციის დელეგატთა მოწვევით, მათ გაესაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი მმართველი პარტიიდან ბატონი ბეგლარ სიორიძე, რომელმაც ისაუბრა რაიონში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

პენსიონერთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, გურამ ცერცვაძემ მერობის კანდიდატს თხოვა თავის სამოქმედო პროგრამაში შეეტანა ნასაკირალის სამკურნალო წყლების აღდგენისა და ამუშავების, ასევე ანასეულელ მეცნიერ სპეციალისტთა დასაქმების საკითხი.

ქალბატონმა მანანა ლომაძემ ითხოვა გმირთა მოედნის მიმდებარე დასვენების პარკის მოწყობა და იქ საბჭოთა კავშირის გმირების ბიუსტების დადგმა, რომლებიც ინახება ისტორიული მუზეუმის შენობაში და გარკვეულწილად რესტავრაციას საჭიროებენ.

ბოლოს თხინვალელმა მოსწავლემ ნოდიკო დონაძემ ფანდურზე შეასრულა სიმღერა, რომელიც ამ შეხვედრის ერთგვარ ჰიმნად იქცა. გურამ ცერცვაძე ნორჩ მომღერალს შეპირდა, რომ 9 ნოემბერს, V ყრილობის შემდეგ მას დიდ სცენაზე გაიყვანს, სადაც 900 კაცი მოუსმენს.

თეატრის თემაზე განვაგრძობთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჯანუყვაძის პუბლიკაციების ბეჭდვას. ამჯერად გთავაზობთ ფრაგმენტს ავტორისეული მოგონებებიდან „თენგიზ ჩანტლაძე“ და „გურიაში რა გინდოდა“

ბერეზნიკის „ფორუმი“

ოზურგეთის თეატრის კოლექტივი გასული საუკუნის 70-იან წლებში.
(მარცხნიდან პირველი): **ვაჟა ჯანუყვაძე**

ერთ დღეს კულტურის სამინისტროში გამომგვიძახეს და მოადგილესთან ნოდარ გურაბანიძესთან შემიყვანეს.

იგი ახლად გადმოყვანილი იყო ამ პოსტზე ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორობიდან.

როგორც წესი, თეატრის საკითხებს მოადგილე განაგებდა, ხოლო მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი უფრო მუსიკის საკითხებში ერეოდა აქტიურად.

მინისტრთან ოთხნი შევედით: სამინისტროს თეატრების განყოფილების მუშაკი, თეატრმცოდნე ვაჟა ბრეგაძე, გორის თეატრის მთავარი რეჟისორი გიორგი აბრამაშვილი, ფოთის თეატრის მთავარი რეჟისორი აზორ აბულაძე და მე.

რიხით გამოგვიცხადეს, რომ ერთ კვირაში კომის ასსრ-ში უნდა გავმგზავრებულიყავით.

ქალაქ ბერეზნიკში უნდა გამართულიყო საკავშირო შეკრება-თათბირი თეატრის საჭირბოროტო საკითხებზე. აღნიშნულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლა ვაჟა ბრეგაძეს ევალებოდა, თუმცა ყველანი მზად უნდა ვყოფილიყავით, რათა საჭიროების შემთხვევაში შეგვძლებოდა ქართული თეატრის ავკარგზე საუბარი.

ჩვენი „მოგზაურობა“ ალბათ ერთკვირიანი იქნებოდა და ასედაც იყო გაგეგმილი სამივლინებო ხარჯებით.

მივლინება მივლინებაა, მისი იმედით ვინ ყოფილა? სხვა რამეც ხომ საჭიროა? მოვემზადე, როგორ ამის საშუალებას ჩემი მოკრძალებული ბიუჯეტი მაძლევდა. ცოტა წამოვისესხე კიდევაც (ეს მაშინ კიდევ შეიძლებოდა დღევანდელობასთან შედარებით), რაც შემდგომ ალბათ მთელი წლის მანძილზე მექნებოდა გადასახადი. მაგრამ, რას იზამ, ასეთია ქართველი კაცის ბუნება.

ჩრდილოეთში „სათბობიც“ აუცილებელია... ჰოდა, საკონსერვო ქარხანაში მეგობრებს ვთხოვე და 3 ლიტრა სპირტი მომიხერხეს. ვიფიქრე, უკიდურეს შემთხვევაში ვინმეს მაინც ვაჩუქებ და მაღლს მოვიკიდებ-შეთქი (ერთხელ მოსკოვში ქორწილსაც კი დავესწარი, სადაც სადღეგრძელოები ქლორიან წყალში გაზავებული სპირტით ისმებოდა)...

ამასთანავე, ცოტ-ცოტა დაბეჭდილი სამარკო ღვინოებიც მოვიმარაგეთ, რა თქმა უნდა, სასაჩუქრედ!..

თბილისის აეროპორტში ჩემმა სპირტმა გვარიანი სკანდალი გამოიწვია...

საქმე ისაა, რომ სულაც არ გამხსენებია რომ ყოველგვარი ფეთქებადი ნივთიერების შეტანა თვითმფრინავში სასტიკად აკრძალულია, ხოლო სპირტი ბენზინის კატეგორიაში გადის.

არადა, ჩასხდომის დროს სასმელის თაობაზე არაფერი უთქვამთ. ჩემი სპირტიანი ქილა კი, რომელიც ერთხელ კი შეავჯანჯღარეს, ჩამომართვეს... სპირტიანი ქილა მანამდის არ გვეთმობოდა, ვიდრე თვითმფრინავიდან ჩამოსმით არ დაგვემუქრნენ...

რამდენიმესაათიანი ფრენის შემდეგ კომის დედაქალაქში აღმოვჩნდით.

ჯერ სასტუმროში მოგვათავსეს. ყველაზე სასიხარულოდ ის გარემოება მეჩვენა, რომ თეატრს იქაც საშური ავტორიტეტი ჰქონდა.

ჩვენ ოთხთაგან გიორგი აბრამიშვილი ასაკითაც ყველაზე უფროსი იყო და გამოცდილებითაც...

მან თავისი ვეება პორთფელიდან სამი თუ ოთხი ბოთლი „ხვანჭკარა“ ამოაცოცა და იქაურ მასპინძლებს საჩუქრად გადასცა, რითაც მათი აღფრთოვანება გამოიწვია.

—ბედნიერი ხალხი ხართ ქართველები, ასეთ დიდებულ სასმელებს რომ სვამთ და არაყს ნაკლებად ეტანებით!.. - ერთგვარი შურით გვითხრა იქაურმა კულტურის მესვეურმა.

— სხვათა შორის ამ ვაუბატონს ხუთლიტრიანი სპირტის ქილებიც მოჰქონდა თქვენთვის, მაგრამ აეროპორტში არ გამოატანეს!.. - რიხით წარმოთქვა ვაჟა ბრეგაძემ.

ამ განცხადებას ერთობ უხერხული სიჩუმე მოჰყვა, მაგრამ იქაურმა კულტურის განყოფილების გამგემ მალე განმუხტა შექმნილი დაძაბულობა და მუშაობის გეგმა გაგვაცნო.

იმ დღეს იქ უნდა დავრჩენილიყავით, ხოლო თუ ვისურვებდით, რომელიმე თეატრში წავიდოდით...

მეორე დღისთვის ექსკურსია იგეგმებოდა, ხოლო საღამოსთვის მატარებლით გავემგზავრებოდით ბერეზნიკში, სადაც თათბირი უნდა ჩატარებულიყო.

იმ საღამოთი სპექტაკლი ვნახეთ, საღამოთი კი სპექტაკლი ვნახეთ.

მეორე დღეს საექსკურსიო ჯგუფებად დავნაწილდით და სხვადასხვა მიმართულებით გავეშურეთ...

თავიდან დამავიწყდა აღმენიშნა, რომ იმხანად თებერვალი იდგა და სუსხი მძლავრობდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დასაწყისი იხ. გაზეთი „ალიონი“ №№31-32, 35-37

თამაზ ჩხარტიშვილის ხსოვნას



გასულ კვირას უკანასკნელ გზაზე გააცილეს ერთ-ერთი კარგი ფეხბურთელი, ოზურგეთის „კოლმეურნეს,“ შემდგომში „სიხრულის,“ „მერცხალის“ ფეხბურთელი **თამაზ ჩხარტიშვილი.**

თამაზი იყო გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულისა და 60-იანი წლების დასაწყისის ოზურგეთის მთავარი გუნდის წარმატებების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. ამ დროისათვის ფეხბურთი გურიაში ძალიან პოპულარული იყო. თამაზი გუნდში ცენტრჰავბეკის (ცენტრალური მცველი) ამპლუაში თამაშობდა.

თამაზ ჩხარტიშვილმა თანაგუნდელებთან ერთად იმ წლებში ყოფილი სსრ კავშირის სასოფლო რაიონების გათამაშება „ოროს თავთავის“ პრიზი მოიპოვა.

ოზურგეთის „სიხარული“ 1959 წელს საქართველოს თასს პირველად დაეუფლა. ფინალში მან თბილისის ტტუ დაამარცხა 2:1.

მომდევნო წლის 5 სექტემბერს, თბილისში, „ქარიშხალას“ სტადიონზე გურული დერბი გაიმართა. საქართველოს თასის ფინალში ერთმანეთს „სიხარული“ და ლანჩხუთის „გურია“ შეხვდნენ.

ამონარიდი რაიონული გაზეთის ფურცლებიდან: „ თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. თავიდანვე უპირატესობა ხელთ იგდეს მახარაძლებმა და ხანგრძლივი იერიშები განახორციელეს გურიის“ კარზე. „სიხარულის“ ყველა რგოლი კარგად, მთელი მონდომებით თამაშობს, შეთანხმებულად და აქტიურად მოქმედებს. დამცველებმა ჰამლეტ დოლიძემ, თამაზ ჩხარტიშვილმა, რევაზ ღლონტმა საიმედოდ ჩაკეტეს ლანჩუთელთა აგრესილი თავდამსხმელი —ნ. ნარიაშვილი, სპორტის ოსტატი ლ. დოლიძე, მენაღარიშვილი...“

„... როგორც იტყვიან, „მომწიფდა გოლი“ და აი, 30-ე წუთზე სოსო დუმბაძე გაიჭრა თავის ფრთაზე, ჩამოაწოდა ბურთი და ბიძინა ტაბიძემ ლამაზი თავურით გახსნა ანგარიში. ოთხი წუთის შემდეგ მახარაძელთა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და გარღვევაზე გასულმა ავთანდილ ნინუამ ბიძინა ტაბიძის გადაცემიდან მეორე ბურთი გაგზავნა ლანჩხუთელთა კარში. მალე მოწინააღმდეგის კარისაკენ გაჭრილმა ანზორ ვახრამოვმა ზუსტი დარტყმით ანგარიში სამამდე გაზარდა. შემდეგი გოლისაგან „გურიის“ მცველებმა კარი იმით იხსნეს, რომ უხეში ილეთით შეაჩერეს მეკარის პირისპირ ბურთით გასული ავთანდილ ნინუა

3:0 —ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში მახარაძელებმა (ა. ნინუა) მეოთხე გოლი გაიტანეს. დაზიანდა რევაზ სალუქვაძე, იგი ზურაბ მარგველაშვილმა შეცვალა. ლანჩხუთელებმა, თუმცა გვიან, მაგრამ მთელი მონდომებით მაინც სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში, მაგრამ „სიხარულის“ დამცველები შესანიშნავად თამაშობდნენ. რამდენიმე კარგი ბურთი აიღო მეკარე პავლე ჟორდანიამ. ანგარიში აღარ შეცვლილა.

მახარაძის „სიხარულმა“ რომელმაც დიდი აღმავლობით, მაღალ სპორტულ დონეზე და ნებისყოფის, გამარჯვებისკენ დიდი სწრაფვის გამოვლენით ჩაატარა მთელი შეხვედრა, დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია, ანგარიშით 4:0.“

ამავე პერიოდში „სიხარული“ თასის საკავშირო გათამაშებაშიც იღებდა მონაწილეობას. 1959 წელს მათ მეოთხედფინალამდეც კი მიაღწიეს. მერვედფინალში მათ უზბეკეთში დაამარცხეს შუა აზიის ერთ-ერთი ძლიერი გუნდი „ხიმიკი“, (1:0), რაშიც თავისი წვლილი შეიტანა თამაზ ჩხარტიშვილმა. მეოთხედფინალში მათ ყოფილი სსრკ-ს უძლიერეს გუნდთან, მოსკოვის „სპარტაკთან“ მოუწია შერკინება. ეს მატჩი ოზურგეთში გაიმართა. სსრკ- ფეხბურთის ფედერაციამ, ვინძლო „სპარტაკმა“ სირცხვილი არ ჭამოს საქართველოში, მოსკოვიდან გამოგზავნა მსაჯი ზიაბლიკოვი, რომელმაც შესაშურად შეასრულა „დავალება“ და ოზურგეთელების კარში ორი

2 ლენინის დროშა ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1960 წ. № 108 (3453)

არ შევეშვებით ამ თასს, გავუმკლავდებით ათასს!

სპორტი მხნეობის, სიხალისის, შრომის მშრომელთა კანმრთელობის განმტკიცებისა უნარიანობისა და დღეგრძელობის წყაროა. ინტერნაციონალიზმი — ეროვნული ფეხბურთელი — ლანჩხუთის „გურია“ და თასის მფლობელი სასიხარულოდ ... ბ. დუმბაძე რამდენჯერმე გაიქცა, ნ. ... ბ. ... ...

ორიოდე ლექსი გალაქტიონ ღლონტის კრებულიდან „სული ცისაკენ მიემართება“



თავს მხოლოდ თვით თუ უშველი

ჰოი, ჩემო საქართველოვ,
თავს მხოლოდ თვით თუ უშველი,
ისევ დაძრწის უსახელო,
გადაშენდეს ლამის შველი.

მიხარის, რომ შენს მთავარ ძარღვს
ასულდგმუკლებს სული წრფელი,
ერის დიდ გზას არ დაკარგავს
გზნება წმინდა, სხივნათელი.

არ დაელია ჩემს მამულს მტერი

არ დაელია ჩემს მამულს მტერი,
ტურა-მელია, ვერაგი შტერი,
ხან თემურლენგი, ხან შაჰაბასი,
ათასი შლეგი და მისი მსგავსი.

გულო, გჯეროდეს გატყდება ნავსი,
იქნება ოდეს არ გვმტრობდეს თარსი.

ცოტა ხნის წინათ ამ სტრიქონების ავტორს ბატონ გალაქტიონს 91 წელი შეუსრულდა. მილოცვაში, რომელიც „ალიონის“ 33-ე ნომერში დაიბეჭდა, დაშვებულია კორექტურული შედომა, რის გამოც რედაქცია ბოდიშს უხდის პოეტს.

ქალი, რომელიც 30 წელია გალობს, ერთ დროს წარმატებული სპორტსმენიც ყოფილა

თემურ მარშანიშვილი

შემოქმედის მონასტერს რომ მგალობელთა შესანიშნავი გუნდი ჰყავს, ეს ყველამ იცის, ვისაც კი ერთხელ მაინც მოუსმენია ამ გუნდის საგალობელი. ამასწინათაც გახლდით ამ ხელიხელსაგოგმანებელ სოფელში და, რა თქმა უნდა, ხელიდან არ გავუშვი შემოქმედის ცადაზიდულ მონასტერში გალობის მოსმენის შანსი.

დიდებულია!!!

მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული სმენით არ გამოვირჩევი, ერთი ქალბატონის ხმამ ეს უკვე მერამდენედ მომტაცა სმენა. ვინ არის-მეთქი, ვიკითხე.

— თინა ერქომაიშვილი-კოსტავა, — გამაცნეს უსიმპათიურესი ჭაღარა ქალბატონი, რომელიც ძალიან მოკლედ მომიყვა თავის შესახებ. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ ქალი, რომელიც 30 წელია გალობს, ერთ დროს წარმატებული სპორტსმენიც ყოფილა:

„დავიბადე 1934 წელს მახარაძის (ამჟამინდელი ოზურგეთის) რაიონის სოფელ შემოქმედში. დავამთავრე შემოქმედის საშუალო სკოლა, სადაც ფიზკულტურას მასწავლიდა ბატონი ვალერიან დუმბაძე. შემიძლია გითხრათ, რომ ვიყავი საკმაოდ წარმატებული ტანმოვარჯიშე. შემოქმედის სკოლიდან წასულმა გოგონამ პირველი ადგილი მოვიპოვე საქართველოს სოფლის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა შორის.

მარცხნიდან პირველი თინა ერქომაიშვილი-კოსტავა

უკვე ოცდაათი წელია ვგალობ შემოქმედის მონასტერში. მყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და შვილთაშვილები“.

მხნეობასა და დიდხანს გალობას ვუსურვებთ საგანძურივით ძვირფას ქალბატონს.

სკანვორდი



№ 37-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მარგო ავაქიანი; ქალის სახელი — ნანა; სოფელი, სადაც ე. ნინოშვილი ასწავლიდა — ჩოჩხათი; ხმელი ბალახი — ჩალა; დიახ — ჰო; ქართული სამარკო ღვინო — ქინძმარაული; ლიტერატურული ჟანრი — ესსე; ტკბილი სასმელი — ჩაი; დღევანდელი ხელისუფლების ეპითეტი — უნიათო; საკულარ თვალში რომ ვერ ხედავენ — დირე; ჯანმრთელი — სალამათი; ცად აჭრილი ბორცვი — მთა; ქართული უნივერსიტეტი — ილიაუნი; კურორტი იმერეთში — საირმე; ქართველი წმინდანი — ილია; ცხენის კუდი — ძუა; ბილიარდის ჯოხი — კია; სტუდენტობაგავლილი — მაგისტრი; მოკლე წრილი — ბარათი; ერთუჯრედიანი არსება — ამება; პირის ღრუს ნაწილი — ცა; რძის ნაწარმი — დო; წვნიანი შეჭამანდი — ოსპი; დროის საზომი — საათი; არეულობა — აურზაური; ბეტონის დიდი ფილა — სინკარი; ქართული გაზეთი — ალია; ბოსტნეული — ქინძი; მამაკაცის სახელი — რაული; კავშირი — და; მკვრივი — მაგარი; ჭუჭრუტანიდან შემოჭრილი შუქი — ათინათი; ... და ბაბა — ათა; ფინური აბანო — საუნა; ბნელის ანტიპოდი — ნათელი; დიახ — კი; ძვირფასი ლითონი — ოქრო; ვარსკვლავის წიბო — ქიმი; მაღვიძარა ფრინველი — მამალი; სამი რუსულად — ტრი; პირველი რიცხვი — ათი.

ქალაქი ოზურგეთი

დასაწყისი იხილეთ №29, 24 ივლისი 2017 წელი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი



ვახუშტი ბატონიშვილთან და ბერი ეგნატაშვილთან დაცულ ზემოთხსენებულ ცნობათა ანალიზის საფუძველზე ოზურგეთი წარმოდგენილია როგორც გურიის სამთავროს ძლიერად გამაგრებული სარეზიდენციო პუნქტი. ოზურგეთში „მორჭმით ზის" სრულიად გურიის პატრონი - გურიელი. სამთავროს რეზიდენცია ციხე-სიმაგრითაა დაცული და „შეუვალ-ქმნილი", რასაც ცხადად მოწმობს სათანადო გრაფიკული ჩანახატები (კასტელი) და მომდევნო პერიოდის წერილობითი წყაროები.

წინაადმდეგ შემთხვევაში სამთავროს რეზიდენციად უციხო და უგალავნო პუნქტის არსებობა გამორიცხულია. ციხე-ქალაქობაც ხომ უძველესი ქალაქებისათვის არის დამახასიათებელი ზღუდე და შესაბამისი თავდაცვითი ნაგებობანიც ქალაქის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტს წარმოადგენს. ბათულიას პერობაც ოზურგეთის ამგვარ გარემოში, ციხე-ქალაქში ივარაუდება ოზურგეთის ციხე და „ზღუდენი მისნი". გიორგი გურიელს მარტო ბათულიასა და სხვათა პერობისათვის როდი აქვს აგებული და განკუთვნილი, ციხის დანიშნულება ამ დროისათვის პატიმართ პერობათა მნიშვნელობასა და დანიშნულებას გაცილებით აღემატება, ვინაიდან აღებულ ხანაში „ვინც ციხეებს ფლობს, ისაა ქვეყნის პატრონი". ციხეა ქვეყნის პოლიტიკური ბედის გადამწყვეტი. ციხე ქვეყნის სოციალური განვითარების შედეგი,. „ციხე თავადობის ნიშანი". „ციხე ქვეყნის დაპერობნის ნიშანი".

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბათულიას დატყვევება სუსტად დაცულსა და გაუმაგრებელ ციხეში, რომლის ამგვარი ხვედრი XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს სამი დიდი მესვეურის, სამი გიორგის, (გიორგი იმერთა მეფე, გიორგი გურიელი და გიორგი დადიანი) დიდ პოლიტიკურ ინტრიგებთან იყო დაკავშირებული. გამორიცხულია ისიც, რომ ოზურგეთი ამ დროს იმერეთის მეფის ხელისუფლებისაგან თავდაღწეული გურიის სამთავროს მთავარი რეზიდენცია, მხოლოდ 1578 წლის შიდა პოლიტიკური შუღლის ამბებთან დაკავშირებით იყოს ამოღმართული მიწის წიაღიდან და მას წინარე ხანის ისტორია არ გააჩნდეს.ამას ადასტურებს

არა მარტო წინამდებარე საკითხის კვლევის შესაბამისი ლოგიკა და ანალიზი, არამედ სათანადო წყაროთა ერთგვარი მოწმობაც. ეს მითუმეტეს მაშინ, როცა საქართველოში, როგორც ადრე ფეოდალურ, ასევე მომდევნო ხანაშიაც წარმოებული სამშენებლო საქმიანობა საკმაოდ რთულ პირობებთან იყოს დაკავშირებული და ეს საქმე - შენება ქალაქთა, ეკლესია-მონასტერთა თუ ციხე-დარბაზთა მოითხოვდა

როგორც უამრავ საშენ მასალას, ასევე მშენებელთა დიდ რიცხობრივ რაოდენობასაც და რაც მთავარია საამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დროს.

მეათე საუკუნის მოღვაწის, ზარზმის წინამძღვრის, ბასილი ზარზმელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება"-ში - აღნიშნულია, რომ სამცხის ზარზმის სახელგანოქმული ტაძრის მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო:

1. ქვის მომტანი ხარი 30 უღელი
2. სპონდიოს (წყლიდან ამოღებული ქვა. ე. გოგუაძე) მომტანი 30 აზავერი. (ტვირთმზიდავი ხარი ეგ.)
3. ქვიშის მომტანი 160 აზავერი. ჯამი: 30 უღელი ხარი 190 აზავერი - სულ: 220 ხარი და აზავერი.

ასევე დიდებულ კეთილპალატოვან და გუნბათიან ოშკის მონასტრის მშენებლობაზე უმუშავნია:

1. კალატოზი, ხურო და მჭედელი 70
2. მოქმედი 80
3. ქვის მომტანი მეურმე 30
4. სპონდიოს მომტანი მეაზავრე 30
5. მექვიშე აზავრის გამყოლი 160.

მომუშავეთა ჯამი: 70 ხელოსანი, 80 მუშა, 30 მეურმე და 190 მეაზავრე ანუ სულ 370 კაცი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, მართალია ეხება ზარზმისა და ოშკის დიდებულ ტაძარათა მშენებლობას, მაგრამ ვფიქრობთ აღნიშნულის პარალელურად, როცა საქმე ეხება საერისთავთ-საერისთაო და სამთავრო ქვეყნის სარეზიდენციო ციხე-ქალაქის „კეთილად შენებას", რომლის საზღვრები რიონიდან ჭოროხამდე, იყო განფენილი. ამ შემთხვევაში გაცილებით ბევრი მუშახელი, სპონდიოს და ქვიშა ქვის მომტანი აზავერი, ამათი გამყოლი მუშა და ხელოსანი იყო საჭირო და რაც მთავარია ყოველივე ამას გაცილებით მნიშვნელოვანი დრო დასჭირდებოდა ვიდრე ოშკისა და ზარზმის ტაძართა შენებას. ზემოაღნიშნული წყაროები ცხადყოფს „ოზურგეთი ხომ ციხე სამაგრით იყო შემოსაზღვრული. მამია II დადიანის მოქიშპე ბათულიაც ხომ ამ ციხე-სიმაგრეში იყო გამომწყვდეული და შედგომში მოკვდინებული."

ოზურგეთის როგორც ქალაქის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, რომელიც საუკუნეთა ვრცელ მირიადებში განსაზრვრავდა გურიის მხრის სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებას, აუცილებლობას წარმოადგენს. გურიის საერისთავთ-საერისთაოს რეზიდენციათა წყაროებში მოიხსენება და გურიის ერისთავთა ზეობის წლების დადგენის საკითხი, რადგან წყაროთა ასახვაში ქვეყნის გამრიგე პატრონის მოხსენიება იმთავითვე გულისხმობს ქვეყნის რომელიმე მხარეში საკუდრიმი სატახტო ადგილსამყოფელის აუცილებელ არსებობას.

„გურია ძველთაგან, ადრეული და შუა საუკუნეებიდან მაინც, ერქვა დასავლეთ საქართველოს ერთ რეგიონს, რომლის საზღვრები იყო დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით-მდინარე რიონი, აღმოსავლეთით აჭარა-გურიის ქედი, და სამხრეთით მდინარე ჭოროხი.

გურია (ფეოდალური ეპოქის) საისტორიო წყაროებში მოიხსენება გურიაში სარკინოზთა ლაშქრობის ჟამს.

მემატიანე მოგვითხრობს: „რამეთუ მოიწია ამირა აგარიანი... რომელსა ერქუა მურვან ყრუ, ძე მოამადისი, რომელი წარმოვლინა ეშმს, ამირ მუმლისა ბაღდადელისა, ძესა აბდალ-მელიქისასა, ნათესავისაგან ამათისა, ამისათვის ეწოდა ყრუ რომელ არა მოითვლიდა სიტყუასა განმზრახთასა... აღძრა ყოველი თესლტომი აგარიანთა... ჭირი ჰქნა ქრისტიანთა ზედა... აღაოხრა ქვეყანა, ... მოვიდა ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა ვითარცა მკალი და მუმლი, და დაფარა პირი ქვეყნისა ...მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, შემუსრა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქვეყანისანი, და ციხე იგი სამ ზღუდე რომელ არს ციხე - გოჯი, შემუსრა და შემოვლო ზრუდე - საზღვარი. და აღიყარა მუნით და შემოვლო გზა გურიისა...

მომდევნო ხანებში როგორც ნაშრომის წინა თავში მივუთითეთ, მურვან ყრუსთან ბრძოლებში გორგასლიანთა დინასტიის ამყ ნაშიერებს, ქართველთა მეფე მირ სტეფანოზის ძეს, არჩილ მეფის ძმას დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონთან ერთად „საუხუცესოდ" ჰქონია გურია.

ისევ უნდა დავიმოწმოთ ქართული მემატიანე. ჯუანშერი მოგვითხრობს: ანაკოფფიის ციხე-სიმაგრეში დაბანაკებულ მურვან ყრუს, სარკინოზთა მხედრობისაგან მიყენებული ჭრილობებით დაუძლურებული მირ სტეფანოზის ძე თავის ძმას არჩილს მიმართავს:

„მე ესერა წავალ ძმაო მამათა ჩვენთა თანა; წარმეც და დამფალ საფლავსა მამათვე ჩუენთა თანა და შენ გაენყო ადგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალავთა სადა არს... ხოლო საუხუცესოდ რომელი მქონდა, მომიცემია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ:

ეგრისი,
სვანეთი,
თაკვერი,
არგვეთი,
და გურია ... და მოკუდა მირ და წარმოსცეს მცხეთას და დაფლეს ზემოსა ეკლესიასა, შესავალსა კარისასა. და დავდა მის წილ მეფედ მისივე ძმა არჩილი...

წამოვიდა არჩილი, დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე. და განაგნა ყოველნი ციხე-ქალაქნი, და აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისა...

ზემოთქმულიდან აღსანიშნავია შემდეგი: ნუთუ მირ სტეფანოზის ძისა და არჩილ მეფეს საბრძანისს ქვეყანაში სადაც მას „საუხუცესოდ" ჰქონდა რიონიდან ჭოროხამდე. განფენილი გურიის მხარე, სადაც სულ ცოტა, სამი ერისთავი მაინც უნდა მჯადარიყო, შორაპანიდან ვიდრე საერძნეთ-გურიის სასაზღვრო ზონაში აგებული რკინის პალოდ სახელდებული ციხე - სიმაგრემდე. სხვა ციხე დარბაზი ამ ერთობ ვრცელი ტერიტორიულ მონაკვეთში არსად არ იყო. კი მაგრამ სად ივჯდნენ, სად იმყოფებოდნენ მაშინ არჩილ მეფის სამკვიდრო ქვეყანაში გურიის მხარის ერისთავსთ-ერისთავები? ვფიქრობთ ამ დროიდან მუკიდებული ქალაქი ოზურგეთი მათ სარეზიდენციო პუნქტად უცილობლად საგულვებელი და სავარაუდებელია. მხარის შუა ადგილს სწორედ ეს ქალაქი წარმოადგენადა.

ენვერ გოგუაძე

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ოზურგეთის სტამბა

1895 წელს გურიაში მყოფი ინგლისელი ქართველოლოგი მარკორი უორდროპი ოზურგეთის შესახებ წერდა:„ გურიის დედაქალაქი ოზურგეთი - იგი პატარაა ძლივს აღემატება დიდ სოფელს, მისი მკვიდრნი დიდ ინტერეს იჩენს ლიტერატურისადმი აქვს თავისი სტამბა და მრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ".

წიგნის ბეჭდვის საქმე ოზურგეთში დაკავირებულია ალფესი მიქელაიშვილისა და კოწია თავართქილაძის სახელთან. ოზურგეთში წიგნებით ვაჭრობდა კოწია თავართქილაძე, რომელიც დაბეზღებული იყო ქუთაისის გუბერნატორთან უნებართვო წიგნების გავრცელებისათვის.კოწია თავართქილაძემ თხოვნით მიმართა დეპუტატ ალფესი მიქელაიშვილს, რომ აეღო მის სახელზე წიგნის ვაჭრობისა და უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის ნებართვა შემდეგ კი ემუშავათ ერთად. გუბერნატორის ნებართვის მიღების შემდეგ 1888 წელს გაიხსნა ალფესი მიქელაიშვილის სახელზე, კოწია თავართქილაძის საამხანაგოდ უფასო სამკითხველო და წიგნის მაღაზია, წიგნის მაღაზიას მოჰყვა სტამბა და წიგნის გამომცემლობა. ოზურგეთის სტამბაში მრავალი საყურადღებო წიგნი დაიბეჭდა: მ. ბურჭულაძის „სკოლა და ოჯახი, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ჯაჭიუგოს" ძმა-ძმის მტერი" და სხვა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ვეფხისტყაოსანის" გამოცემას, მისი იდეების პოპულარიზაციას მშრომელთა მასებში, იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ „ვეფხისტყაოსანი" გამოიცა ორჯერ ზედიზედ 1891 წელს და 1892 წელს. 1891 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისა„ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:„ გურიაში სტამბის გახსნის მიზანი იყო ძლიერ იაფ ფასად ქართული წიგნების ბეჭდვა. თორემ ამისთანა პატარა მაზრაში, როგორიც გურიაა, ყველას მოეხსენება, რომ სხვა სასტამბო საქმე ხარჯსაც ვერ აღადგენს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა ჩვენი სურვილი ვერ დავაკმაყოფილეთ ისე, როგორც სასურველი იყო, მიზეზი ამისა დასაბეჭდი წიგნების უქონლობაა, ვინ მოსთვლის რამდენს მივმართეთ, რამდენი ნაცნობი შევაწუხეთ, რომ მათ ეშოვათ ჩვენი პატივცემული მწერლების ნებართვა მათი ნაწერების დაბეჭდვისა და გამოგვეცა ისეთი წიგნები, რომლებიც საზოგადოებას სარგებლობას მოუტანდა და არც ჩვენ დაგვაზარალებდა, მაგრამ ვერც ერთი მხრიდან ვერაფერს გავხდით. ამიტომ ჩვენ „ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვას შეუდექით, თუმცა ამ სამი წლის მანძილზე ორ-სამჯერ დაიბეჭდა, მაგრამ გასასყიდლად გამომცემლობას არც ერთი ეგზემპლარი არ მოპოვება, რადგან სხვაზედ შედარებით ბევრად უფრო იაფად არის გამოცემული, რის გამოც ყველა ღარიბ კაცს შეუძლია ამის შეძენა იმედი გვაქვს მალე გაყიდება."



1891 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი" 1000 ეგზემპლარი იყო თითო წიგნი დაჯდა 25 კაპიკი.წიგნის ფასად დადებული იყო 4 შაური, იმ შემთხვევაში, თუ წიგნის მაღაზია ან კერძო პირი იყიდა 100 ცალს, მაშინ წიგნი დაეთმობოდათ, როგორც დაჯდა 25 კაპიკად, ავტორის ფოტო სურათისათვის წიგნის ფასს ემატებოდა 2 კაპიკი.,მაგრამ წიგნის ბეჭდვა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან წიგნების ბეჭდვა ზედმეტ ხარჯებს იწვევდა, რომელიც ოზურგეთის სტამბას და წიგნის მაღაზიას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა. 1895 წელს ალფესი მიქელაიშვილი და კოწია თავართქილაძე ბათუმში ხსნიან სტამბას.

ოზურგეთს ისტორიულ მუზეუმში დაცულია ალუმინისფერი ქართული ორნამენტით დამშვენებული,მ აგარ ყდაში ჩასმული წიგნი, რომელსაც ბრინჯაოსფერი ასოებით აწერია. შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი"ეს გენიალური ქმნილება გამოცემულია ოზურგეთში ამიქელაიშვილისა და კთავართქილაძის სტამბაში 1891 წელს სტამბის დაარსების პირველსავე წელს.

დღეს, ოზურგეთისეული „ვეფხისტყაოსანი" ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და იგი რჩება გურიის ძველი დედაქალაქის ოზურგეთში 126 წლის უკან არსებული სტამბის შესანიშნავ მემატიანედ.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის
ფონდების მცველი

სამგლოვიარო განცხადება

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება მელექედურის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **ზაირა ნიპოლაიშვილი-თალაკვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი" გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი", რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გეჭვებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საჭიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ცოცხალი - live

კომუნალური კინო - კინოთეატრის განვითარების პერსპექტივა

29 სექტემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია რეგიონებში კულტურული ცხოვრების შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველობის მოვალეობებს განეკუთვნება ადგილობრივ დონეზე თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, ადგილობრივი ბიბლიოთეკების, კლუბების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრებისა და საგამოფენო დარბაზების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, კულტურის თემატიკა იშვიათად ხვდება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დაპირებსა თუ პროგრამებში.

ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ ისაუბრა როგორია კულტურული ცხოვრება რეგიონებში, რა მდგომარეობაშია ადგილობრივი კულტურული ობიექტები, რატომ უნდა გაამახვილონ ამ თემებზე ყურადღება პოლიიკურმა პარტიებმა, როგორია ევროპული ქვეყნების გამოცდილება და რა შეიძლება გააკეთონ ადგილობრივმა მთავრობებმა სიტუაციის გამოსასწორებლად.

ბატონებს - ლაშას და მის მამას, აკაკი ბაქრაძეს ოზურგეთში, სადაც მათი სახლი აკაკი ბაქრაძის ქუჩაზე დგას, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება:

— ოზურგეთში მთელი ბავშვობა მაქვს გატარებული, განსაკუთრებით ზაფხული, როცა ბებია-ბაბუასთან ჩამოვდიოდი და ოზურგეთი ჩემთვის ძალიან ახლობელია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ. აქ ჩამოსვლა ჩემთვის ყოველთვის ბევრ ნოსტალგიას უკავშირდება.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ოზურგეთში კულტურული ცხოვრების დიდი ტრადიცია არსებობს და გაიხსენეთ გერმანე გოგიტიძე, რომელზეც ბევრმა ოზურგეთელმა არ იცის.

—გერმანე გოგიტიძე რატომღაც მივიწყებულია, მისი ბიოგრაფიაც კი კარგად არ არის შესწავლილი. მას ძალიან დიდი დამსახურება აქვს ქართული კინოს წინაშე. იგი იყო პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ პროდიუსერი და ფილმის გადაღებაც მან დაამთავრა, იყო ქართული კინოდოკუმენტალისტიკის დამფუძნებელი და საერთოდ, ქართული კინოსმამამთავარი. კომუნისტური რეჟიმის დროს მას იმიტომ არ ახსენებდნენ, რომ ბურჟუა იყო, რაღაც პერიოდი მუშაობდა კინომრეწველობაში, მაგრამ მალე გააძევეს იქედან.

გერმანე გოგიტიძეს განსაკუთრებული ღვაწლი აქვს ოზურგეთში კინოთეატრის დაარსებისათვის. მან პირველი ელექტროსადგურიც კი გააკეთა ოზურგეთში, რომ ახალდაარსებულ კინოთეატრის შენობასა და მიმდებარე ქუჩებს მუდმივი ელექტროენერგია ჰქონოდა. ამ ადამიანს არც მის მშობლიურ გურიაში იცნობენ კარგად და არც საქართველოში.

—ბატონო ლაშა, ოზურგეთში მიმდინარეობს თეატრისა და კინოთეატრის შენობის რეაბილიტაცია. როგორც ცნობილია მაყურებლის ნაკლებლობა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა ამ დარგების განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

— ჩვენ ვსაუბრობთ როგორ უნდა იყოს კულტურული ცხოვრება უფრო საინტერესო ქვეყანაში და თუნდაც ოზურგეთში? ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, როგორც დასავლეთის ქვეყნებში და არამარტო იქ, არსებობდეს მუნიციპალური ანუ კომუნალური კინო, რომელსაც დააფინანსებს მუნიციპალიტეტი, სადაც ბილეთებიც იქნება იაფი და აჩვენებენ არაკომერციულ ფილმებს, ძველსაც და ძალიან ახალსაც, სადაც ყველა გემოვნების ადამიანისათვის იქნება შესაძლებელი მისვლა და საუბარი კინოზე და კინოში დასმულ პრობლემებზე. თუ ასეთი კინოთეატრის მოთხოვნა ექნება საზოგადოებას და ამას გაითვალისწინებს ხელისუფლებაც, მაშინ მე ვიტყოდი, რომ ამ კინოთეატრის ფუნქციონირებას მეტი პერსპექტივა და დატვირთვაც ექნება.

ლია კილაძე

გურამ წიბახაშვილისა და თინათინ კიღურაძის „ჩემი ოზურგეთი“

ალიონი. მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქ. ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში, 28 სექტემბერს გაიხსნა გურამ წიბახაშვილისა და თინათინ კიღურაძის რიგით IV ფოტოგამოფენა „ჩემი ოზურგეთი“, რომელსაც, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, პირველივე დღეს დამთვალიერებელი არ აკლდა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 31 ფერადი ფოტო ქალაქ ოზურგეთის განახლებული ხედებით. აქვე ნაჩვენები იქნა კლიპი „ქალაქი მახარაძე 40-იან წლებში“.

„გამოფენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, საზოგადოებამ გაიხსენოს და პარალელები გაავლოს ძველი და ახალი ოზურგეთის იერსახეებს შორის“, - თქვა გამოფენის გახსნაზე სახვითი ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელმა, მხატვარმა ავთანდილ თავართქილაძემ.

გამოფენა „ჩემი ოზურგეთი“ გალერეაში 5 ნოემბრამდე გასტანს

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

2 ოქტომბერი ორშაბათი	3 ოქტომბერი სამშაბათი	4 ოქტომბერი ოთხშაბათი	5 ოქტომბერი ხუთშაბათი	6 ოქტომბერი-პარასკევი	7 ოქტომბერი შაბათი	8 ოქტომბერი კვირა
მცირე წვიმა +12+16	წვიმა +8+14	მზე, ღრუბელი +9+19	მზე, ღრუბელი +11+20	წვიმა +12+19	წვიმა +8+13	ღრუბელი +8+13